ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. ივლისის 20 № 14 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

145. „სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების“ შეცვლისა და დამატების შესახებ.

146. „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემული სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების“ დებულების 1 მუხლის „გ“ პუნქტის გაუქმების შესახებ.

147. „ა/კსესრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის საქართველოს სსრ-ში ვაჭრობის მოწესრიგების წესით გამოცემული სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების უფლების მინიჭების თაობაზე გამოქვეყნებული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 27-ს თარიღისა და 82 №-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტის გაუქმების შესახებ.

148. „ირაღისა და სასროული მასალის გატაცებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 6-ს დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

149. საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის მე-8 მუხლის „კ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

150. მთავარი სახის სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების რაიონობითი ლიმიტების პერიოდულად გამოქვეყნების შესახებ.

151. ფსიქიატრულ საავადმყოფოთა სამედიცინო პერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

152. ქალაქისა და ქალაქ-ადგილების მოსახლეობისათვის პურის მიწოდების წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საბალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

145. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ საველდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების“ შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ის თარიღისა და 62 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას „სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და ქალაქის საბჭოების მიერ საველდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 100 და 1928 წ. მე-10 №-რი, მუხ. 92) შეეცვალოს სათაური და ეწოდოს „დებულება საველდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ“.

II.

ზემოაღნიშნული დებულების 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 13, 14, 17, 22 და 33 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 1. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა და მის თანაბარ ცენტრალურ დაწესებულებას, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტსა და მის პრეზიდიუმსა, აგრეთვე საქალაქო საბჭოსა და მის პრეზიდიუმს უფლება აქვთ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და ამა დებულების თანახმად, გამოსცენ სათანადო ტერიტორიის ფარგლებში საველდებულო დადგენილებანი.

შენიშვნა. თემის საბჭოს მიერ საველდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის დადების წესი გათვალისწინებულია ცალკე დებულებაში—„დებულება სათემო საბჭოების მიერ საველდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ“ (კან. კრ. 1926 წ. № 3, მუხ. 71).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 2. სახალხო კომისარიატისა და მისი თანაბარი ცენტრალური დაწესებულების სამმართველოსა და განყოფილებას, აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს განყოფილებას და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას უფლება არა აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილება, ხოლო, უკეთუ ეს საჭირო იქნება, აღძრავენ შუამდგომლობას სათანადო ორგანოს წინაშე, რათა მან სავალდებულო დადგენილება გამოსცეს.

მუხ. 3. ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია სავალდებულო დადგენილება გამოსცეს (1 მუხ.) არ შეუძლია თავისი უფლებამოსილობა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა ქვემდგომ ორგანოს გადასცეს ან სავალდებულო დადგენილების გამოცემა მიანდოს ქვემდებარე დაწესებულებას.

მუხ. 4. სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ კანონებს, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს სავალდებულო დადგენილება,—გარდა ამისა,—სახალხო კომისარიატებისა, მათი თანაბარი ცენტრალური დაწესებულებისა და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოს დადგენილებებსა, ინსტრუქციებსა და სხვა აქტებს და არ უნდა იმეორებდეს აღნიშნული აქტების შინაარს.

მუხ. 5. სახალხო კომისარიატსა და მის თანაბარ ცენტრალურ დაწესებულებას უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი მხოლოდ იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რაც კანონში ცალკეა გათვალისწინებული, და აღნიშნულ დადგენილებათა გამოკემისათვის უნდა იხელმძღვანელონ ამა დებულების წესი, რამდენადაც კანონით დაწესებული არ არის განსაკუთრებული გამონაკლისი.

მუხ. 7. სავალდებულო დადგენილება,—ამა მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გამონაკლისით,—შეიძლება გამოიცეს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, მისი სამოქმედოდ შემოღების დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ სავალდებულო დადგენილება ძალასა ჰკარგავს, უკეთუ მას კვლავ არ დაადასტურებს და ხელახლა არ გამოაქვეყნებს ის ორგანო, რომელმაც იგი გამოსცა.

სახალხო კომისარიატებისა და მათი თანაბარი ცენტრალური დაწესებულებების სავალდებულო დადგენილებანი, ხოლო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებათაგან სავალდებულო დადგენილებანი: 1) რეგოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვისა (მუხ. 6, პ. „ა“, ნაწ. 1), 2) ხალხის ჯანმრთელობის დაცვისა (მუხ. 6, პ. „დ“), 3) სანიტარიისა (მუხ. 6, პ. „გ“ ნაწ. 1, პ. „ი“ ნაწ. 4) და კეთილმოწყობის (მუხ. 6, პ. „ზ“, ნაწ. 2, პ. „თ“, პ. „ი“ ნაწ. 1) საკითხების შესახებ შეიძლება გამოიცეს ერთ წლისაზე მეტი ვადითაც და მოქმედებენ გაუქმებამდე, რაც აღნიშნული უნდა იყოს თვით სავალდებულო დადგენილებაში.

მუხ. 8. სავალდებულო დადგენილებაზე უნდა აღინიშნოს, რომ იგი „სავალდებულო დადგენილებაა“, უნდა აღინიშნოს აგრეთვე ხელისუფლების ორგანო, რომელმაც იგი გამოსცა, და გამოცემის წელიწადი, თვე და რიცხვი.

სახალხო კომისარიატისა და მისი თანაბარი ცენტრალური დაწესებულების სავალდებულო დადგენილებას ხელს მოაწერს ამ დადგენილების გამომცემი ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოს სათავეში მდგომი პირი და სათანადო სამმართველოს უფროსი ან განყოფილების გამგე, ხოლო—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებას—თავმჯდომარე და მდივანი.

სავალდებულო დადგენილება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის.

მუხ. 13. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებანი, სამი დღის ვადაზე დღიდან ხელისმოწერისა, უნდ გაეგზავნოს ცნობისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და, გარდა ამისა, სათანადო მაზრის პროკურორს.

მუხ. 14. ინსტრუქციას სავალდებულო დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს ხელისუფლების ის ორგანო, რომელმაც თვით ეს სავალდებულო დადგენილება გამოსცა.

მუხ. 17. ადმინისტრატიული გადასახდელის უკიდურესი ღონისძიება, რაც შეიძლება სავალდებულო დადგენილებით იქნეს გათვალისწინებული, შემდეგია:

1) სახალხო კომისარიატისა და მისი თანაბარი ცენტრალური დაწესებულების სავალდებულო დადგენილებისათვის.

ჯარიმა 100 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე;

2) ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და ტფილისის საქალაქო საბჭოსი და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებისათვის:

ა) ქალაქ ტფილისში ჩადენილი დარღვევისისთვის—ჯარიმა 100 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე;

ბ) სხვა ქალაქში ჩადენილი დარღვევისათვის—ჯარიმა 50 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ორ კვირამდე;

გ) სოფლად ჩადენილი დარღვევისათვის—ჯარიმა 5 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

3) სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა, ტფილისის გარდა, სამაზრო ქალაქებისა და ქალაქ ფოთისა, ჭიათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის საქალაქო საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებისათვის:

ა) ქალაქებში ჩადენილი დარღვევისათვის—ჯარიმა 50 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ორკვირამდე;

ბ) სოფლად ჩადენილი დარღვევისათვის—ჯარიმა 5 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

შენიშვნა. ადმინისტრატიული გადასახდელის უკიდურესი ღონისძიებანი, რაც ამა მუხლშია აღნიშნული, არ გავრცელდება იმ სავალდებულო დადგენილებებზე, რომელთა დარღვევისათვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში სხვა რაიმე ღონისძიებაა დაწესებული. ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევისათვის საავალდებულო დადგენილებაში ზედმიწევნით უნდა იქნეს აღნიშნული ის გადასახდელი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში.

მუხ. 22. ადმინისტრატიულ გადასახდელს საავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის გადასწყვეტს იმ აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი, რომლის რაიონშიაც დადგენილება იყო დარღვეული, ხოლო იქ, სადაც ადმინისტრატიული განყოფილება არ არსებობს,—სამაზრო ან საქალაქო მილიციის უფროსი.

ადმინისტრატიულ გადასახდელს ქალაქ ჭიათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის საქალაქო საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების მიერ გამოცემულ საავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გადასწყვეტს ყველა ამ ქალაქის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხ. 23. საჩივარი ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადებაზე შეიტანება სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

უკეთუ საავალდებულო დადგენილება, რომლის დარღვევისათვისაც გადასახდელია დადებული, გამოცემულია ტფილისისა, ქუთაისისა, გორის ან ფოთის საქალაქო საბჭოს თუ მისი პრეზიდიუმის მიერ, საჩივარი შეიტანება სათანადო საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში.

III.

ზემოაღნიშნული დებულების მე-6 მუხლს დაემატოს „ნ“, „ო“ და „პ“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 6, პუნ. „ნ“, „ო“ და „პ“:

ნ) ეტლების და ადგილობრივი ტრანსპორტის სხვა საშუალების სარგებლობის სასყიდლის ნიხრის დაწესებისათვის, ო) მინდის ნიხრისათვის წისქილებში და პ) ყველა სხვა საკითხებზე, რომელზედაც საავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლება მიენიჭება მას კანონით.

IV.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი (სრულიად საქართველოს ცენ. აღმ. კ-ტისა და საქართველოს სსრ სახალხო კ-თა საბჭოს 1928 წ. ივნისის 20-ს თარიღისა და 48 №-ის დადგენილების რედაქციით—კანონ. კრ. 1928 წ. მე-10 №-რი, მუხ. 92), „დ“ პუნქტი და 21 და 44 მუხლები გაუქმებულ იქნეს.

V.

აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამა აქტიდან გამომდინარე ცვლილებანი უნდა შეიტანონ იმ დებულებებში, რაც მათ მიერ გამოცემული უნდა ყოფილიყო თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ს თარიღისა და 62 №-ის დადგენილების მე-5 მუხლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 100); ამასთანავე, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს ცვლილებანი საბოლოო დამტკიცებისათვის უნდა წარუდგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

---

146. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანატარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების“ დებულების 1 მუხლის „გ“ პუნქტის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 5-ს თარიღისა და 81 №-ის დადგენილებით დამტკიცებული „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისაგან კურორტების სამთო-სასანატარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების დებულების 1 მუხლის „გ“ პუნქტი (კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი მუხ. 129).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

147. დადგენილება ს. ა. კ. და ს. კ. ს.

„ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის საქართველოს სსრ-ში ვაჭრობის მოწესრიგების წესით გამოცემული სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების უფლების მინიჭების თაობაზე“ გამოქვეყნებული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 27-ს თარიღისა და 82 №-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლ. ოქტომბრის 27-ს თარიღისა და 82 №-ის დადგენილებისა „ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის საქართველოს სსრ-ში უფლების მინიჭების შესახებ— დაიწესოს ადმინისტრატიული გადასახდელი ვაჭრობის მოწესრიგების წესით გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის“.

სრულიად საქართვ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

---

148. დადგენილება ს. ა. კ. და ს. კ. ს.

„იარაღისა და სასროლო მასალის გატაცებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის გაძლიერების“ თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 6-ს დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77

ეროვნული ბიბლიოთეკა

№-ის დადგენილების (კან. კრებ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) მე-2 მუხ. წესისამებრ და თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 6-ის დადგენილებისა „იარაღისა და სასროლო მასალის გატაცებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-რი, მუხ. 91)— სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხ. “გ“ პუნ. და 180 მუხ. მე-3 ნაწ. შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

177 მუხ. „**გ**“ **პუნ.** ქურდობა ხანძრისა, წყალდიდობისა, მატარებლის კატასტროფის ან სხვა რამ საზოგადოებრივი უბედურების დროს, ან ქურდობის მრავალჯერ ჩადენა, აგრეთვე მოპარვა მიწადმომქმედი ან, საერთოდ, მშრომელი მოსახლეობისათვის მუშა-საქონლისა თუ მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ან და მოპარვა სასროლო იარაღისა (სანადირო ჯურისა და წვრილკალიბრიანი იარაღის გარდა) და მისთვის საჭირო სასროლო მასალისა, უკეთუ ამ ქმედობაზე არა ვრცელდება ამა კოდექსის 58[17]ა მუხ.

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე“.

180 მუხ. მე-3 ნაწ. იგივე ქმედობა, ჩადენილი ძალადობით, განმეორებით ან ჯგუფის მიერ, აგრეთვე მიწათმომქმედი ან, საერთოდ, მშრომელი მოსახლეობის მუშა-საქონლის ან მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სააშკარაოდ გატაცება, ანდა სააშკარაოდ გატაცება სასროლო იარაღისა (სანადირო ჯურისა და წვრილკალიბრიანი იარაღის გარდა) და მისთვის საჭირო სასროლო მასალისა უკეთუ ამ ქმედობაზე არა ვრცელდება ამა კოდექსის 58[17] ა მუხ.

თავისუფლების აღკვეთას ექვს წლამდე.

II.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 58[17]ა და 181[1] მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 58[17]ა. სასროლო იარაღისა, მისი ნაწილებისა და სასროლო მასალის ფარულად ან სააშკარაოდ გატაცება: ა) მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა, გზათა სახალხო კომისარიატის გზების დაცვისა და განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვის საწყობებიდან და საცავებიდან; ბ) სამხედრო ნაწილებისა, გზათა სახალხო კომისარიატის გზების დამცველი ნაწილებისა და განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვის მუდმივი ან დროებით დაბანაკების ადგილებიდან, უკეთუ სასროლი იარაღი, მისი ნაწილები და სასროლო მასალა დაცული ან და განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, ხოლო უკეთუ გატაცებას თან დაერთო იმ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის საშიში ძალადობა, რომელთაც დავალებული აქვთ სათანადო დაცვა ან მეთვალყურეობა—თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიების აწევით თვით უმაღლეს ღონისძიებამდე—დახვრეტამდე ქონების კონფისკაციით".

მუხ. 181[1]. ყიდვა, შენახვა და გაყიდვა წინასწარ შეცნობილი გატაცებული სასროლო იარაღისა (სანადირო ჯურისა და წვრილკალიბრიანი იარაღის გარდა) და მისთვის საჭირო სასროლო მასალისა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

149. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. კ.

საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის მე-6 მუხლის „კ" პუნქტის შეცვლის შესახებ.

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1928 წლ. ნოემბრის 21-ს დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის „კ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„პუნქტი „კ". იმ პირს, ვინც განსაკუთრებული პირობების გამო ეწევა წვრილ ვაჭრობას, როგორც არის შრომისა და ომის ინვალიდი და უმუშევარი მუშა და მოსამსახურე და რომელიც დაბეგრილია სასარეწაო გადასახადით, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეწაო გადასახადის დებულებისათვის დართული პირადი სარეწავების ნუსხის მე-2 და მე-7 მუხლების მიხედვით; ამასთანავე აღნიშნულ მუშასა და მოსამსახურეს საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მისთვის ეს მოსაქმეობა დროებითია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. მაისის 10.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

150. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

მთავარი სახის სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების რაიონებითი ლიმიტების პერიოდულად გამოქვეყნების შესახებ.

სამშენებლო სამუშაოთა ფასების რაიონებითი მოწესრიგებისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს წარადგინოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში ყოველწლიურად თებერვლის 1-თვის, ამასთანავე დართული ფორმით, საანგარიშო ცნობები გასულ საადმშენებლო სეზონში წარმოებული მშენებლობის შედეგების შესახებ. ცნობები წარდგენილ უნდა იქნეს ყოველგვარი სახის მასსიური ხასიათის მშენებლობის გამო, როგორიც არის: საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო, კლუბი, აბანო, აღმასრულებელი კომიტეტის შენობა და სხვ.

შენიშვნა. მიმდინარე წელს ცნობების წარდგენის უკიდურეს ვადათ დადგენილია ივლისის 15; ამასთანავე, წარსადგენი ცნობები უნდა შეეხებოდეს 1927 და 1928 წლების სამშენებლო სეზონს.

2. წინადადება მიეცეს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც სპეციალური მნიშვნელობის სამშენებლო სამუშაოს აწარმოებს (ხიდი, ელევატორი, მაცივარი, ფაბრიკა, ქარხანა, ჰიდროსადგური და სხვ.), წარადგინოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში ყოველწლიურად, არა უგვიანეს თებერვლის 1-სა, ცნობები ზემოაღნიშნული მშენებლობის მთავარი სახის სამუშაოთა ღირებულების შესახებ ამ გადიდებული მზომების მიხედვით, რაც განსაზღვრულია სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მიერ—სათანადო მშენებელ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

ცნობებს წარადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო—ხიდებისა და გზების ღირებულების შესახებ;

ბ) წყალთა მეურნეობის სამმართველო—სამელიორაციო და ჰიდრო-ტეხნიკურ სამუშაოთა ღირებულების შესახებ;

გ) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—ელექტროფიკაციისა და სამრეწველო ნაგებობათა ღირებულების შესახებ;

დ) აღმასრულებელი კომიტეტები—სასანიტარო, სატეხნიკო (წყალსადენი და კანალიზაცია) და კეთილმოწყობის სამუშაოთა ღირებულების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს ყველა იმ სახალხო კომისარიატს, რომელიც-კი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს აწარმოებს (თეატრი, კინო, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, სანატორიუმი, დასვენების სახლი, სასტუმრო, ბანკი, საფოსტო შენობა და სხვ.), შეატყობინონ ყოველწლიურად, არაუგვიანეს თებერვლის 1-სა, საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს ცნობები მათ მიერ წარსული სეზონის განმავლობაში აგებული შენობების შესახებ.

შენიშვნა. მიმდინარე წელს ცნობების წარდგენის ვადად დადგენილია ივლისის 15; ამასთანავე წარსადგენი ცნობები უნდა შეეხებოდეს 1927 და 1928 წლების სამშენებლო სეზონს.

4. ჩატარებულ იქნეს ყოველწლიურად, თებერვლის 1-დან მარტის 1-მდე, წარდგენილი ცნობებისა და შენობების თვისების შემოწმების კამპანია; კამპანიის ჩასატარებლად საჭირო მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მთელი აპარატი, დაინტერესებული უწყებები და ორგანიზაციები და მშენებელ მუშათა პროფესიონალური კავშირისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელნი.

5. მიენდოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს მოპოებული მასალის შემუშავება და მისი დაკავშირება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებთან აწარმოოს ყოველწლიურად მარტის 1-დან აპრილის 1-დე იმ ვარაუდით, რომ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მიერ შემუშავებული სალიმიტო ფასები,—სახალო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ,— გამოქვეყნებულ იქნეს არა უგვიანეს აპრილის 15-სა.

შენიშვნა. მიმდინარე წელს ყოველგვარი სახის სამშენებლო სამუშაოთა რაიონობითი ლიმიტების გამორკვევა მოხდეს აგვისტოს 15-თვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 15.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა.

საანგარიშო ცნობები

19.....წლის საამშენებლო სეზონის მშენებლობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ.....სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი

№№ რიგზე	შენობათა სახელწოდება	შენობის დაწყება	შენობის დამთავრება	თუ დამთავრებული არ არის, დამთავრების რა სტადია შია %	შენობის მოცულობა კუბ. მ.	საცხოვრებელი ფართობი კვ. მ.	სასარგებლო ფართობი კვ. მ.	აღნაგობის ფართობი კვ. მ.	რა მასალისაა შენობა	ღირებულება წინასწ. ხარჯთაღრიცხვ.	ფაქტიური ღირებულება			შენიშვნა
											საერთო	1 კუბ. მეტრ.	1 კვად. მ. ფართ.	
1.	საცხოვრებელი სახლი . . .													
2.	ს კ ო ლ ა													
3.	საავადმყოფო													
4.	კ ლ უ ბ ი													
5.	ა ბ ა ნ ო													
6.	აღმ. კომიტეტის შენობა და სხვა													

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. საზოგადოებრივ შენობაში საცხოვრებელ ფართობად იგულისხმება ოთახების ფართობი.

2. ცნებათა განმარტება: საცხოვრებელი ფართობი, სასარგებლო ფართობი და აგრეთვე კუბატურის გაზომის მეთოდი მოიცემა ცალკე ინსტრუქციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

151. დადგენილება ს. კ. ს.

ფსიქიატრულ საავადმყოფოთა სამედიცინო პერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

რადგანაც ფსიქიატრული დაწესებულებანი საკმაოდ უზრუნველყოფილნი არ არიან სამედიცინო პერსონალით და, საერთოდ, კვალიფიციურ ფსიქიატრთა დიდი ნაკლებობაა, ამის გამო, რათა ფსიქიატრულ საავადმყოფოების მუშაობაში რაც შეიძლება მეტი რიცხვი სამედიცინო დარგის მომუშავეებისა იქნეს ჩაბმული—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უკეთუ სამედიცინო დარგის მომუშავე, რომელიც ფსიქიატრულ დაწესებულებაში სულით ავადმყოფთ უშუალოდ უწევს მომსახურეობას, პროფესიონალური ხასიათის ავადმყოფობით დაავადდა,—იგი სოციალური დაზღვევით უზრუნველყოფის სფეროში გათანაბრებულ უნდა იქნეს იმ პირებთან, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი დაშავების გამო.

2. ფსიქიატრულ საავადმყოფოებში მომუშავე ექიმები, არა უადრეს, ვიდრე თვითეული ხუთი წლის სამსახურის შემდეგ, წარივლინებიან სამეცნიერო მუშაობა—განვითარებისათვის, ვადით არა ნაკლებ სამი თვისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა ან ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების ხარჯით.

3. სამედიცინო დარგის იმ მომუშავეთა შვილები, რომელთაც ფსიქიატრულ დაწესებულებაში სამი წელიწადი მაინც უმუშავნიათ, სასწავლებელში შესვლის სფეროში გათანაბრებულ უნდა იქნენ ფიზიკური შრომის პირთა შვილებთან.

4. მიენდოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ სათანადო ღონისძიება, რათა სამედიცინო დარგის იმ მომუშავეთა შვილები, რომელნიც ქალაქ გარედ მომქმედ ფსიქიატრულ საავადმყოფოებში მუშაობენ, უზრუნველყოფილ იქნენ იმ მხრით, რომ პირველ დაწყებითი სწავლა მიიღონ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 21.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

152. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ქალაქისა და ქალაქ-ადგილების მოსახლეობისათვის პურის მიწოდების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ქალაქებისა და ქალაქ-ადგილების მშრომელი მოსახლეობისათვის პურის მიწოდების მოსაწესრიგებლად და პურის პროდუქტების არასამომხმარებლო საჭიროებისათვის (საქონლის საკვები და სხვ.) გამოყენების თავიდან ასაცილებლად—შემოღებულ იქნეს ტალონებიანი წიგნაკებით პურის მიწოდების სისტემა შემდეგ ქალაქებში: ტფილისსა, ქუთაისსა, ბაოომსა, ფოთსა და სოხუმში.

შენიშვნა. ამა დადგენილებაში აღნიშნული სისტემა პურის მიწოდებისა შეიძლება გავრცელებულ იქნეს სხვა ქალაქებსა და ქალაქ-ადგილებზედაც, რისთვისაც სათანადო ქალაქაკო საბჭო თვითეული ცალკე შემთხვევაში უნდა შეუთანხმდეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სს რესპუბლიკაში.

2. დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული პურის ნორმა ერთ სულზე დღეში მოსახლეობის შემდეგი ძირითადი ჯგუფისათვის:

ჯგუფი „ა“. საქარხნო-საფაბრიკო საწარმოთა, რკინიგზისა და კავშირ-შირგამბმულობის მუშები და ფიზიკური შრომის სხვა დარგის მუშები, მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი მიღიციის სამწყობრო-საკომანდო შედგენილობა, წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული მოსამსახურენი და ფიზიკური შრომის უმუშევარნი, რომელნიც აღნიშნულ დარგებში მუშაობდნენ;

ჯგუფი „ბ“. „ა“ ჯგუფში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები, ყველა მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები, ინვალიდები, უმუშევარნი („ა“ ჯგუფში აღნიშნულთა გარდა), სამხედრო მსახურნი („ა“ ჯგუფში აღნიშნულთა გარდა), პენსიონერები, მოსწავლენი, შინა-მრეწველნი და სხვა მშრომელი მოსახლეობა;

ჯგუფი „გ“. არამშრომელი მოსახლეობა.

3. დაწესებული ნორმების ფარგლებში პურის მისაღებად მთელს მშრომელ მოსახლეობას („ა“ და „ბ“ ჯგუფი) მიეცემა პურის წიგნაკები ყოველდღე მოსახვევი ტალონებით.

შენიშვნა. სასეზონო მუშებს ტალონებიანი პურის წიგნაკები არ მიეცემათ; წიგნაკების მაგიერ ეს მუშები მიიღებენ სპეციალურ პურის ფურცლებს.

4. პურის წიგნაკი გაიცემა ოჯახის მეთაურის სახელზე, რათა მის რჩენაზე მყოფმა პირებმა პური ერთად მიიღონ. ოჯახის იმ წევრს, რომელსაც დამოუკიდებელი საშოვარი აქვს ან რომელიც სამომხმარებლო კოოპერაციის მეპაიეა, უფლება აქვს მიიღოს ცალკე პურის წიგნაკი.

5. წიგნაკებით პურის გაცემა სწარმოებს ყველა პურის დუქანში (მე-6 მუხლში აღნიშნული დუქნების გარდა) მტკიცე ნორმების მიხედვით; ამა' თანავე მომმარაგებელნი თავისი წიგნაკებით მიეწერებიან განსაზღვრულ დუქნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. არამშრომელ მოსახლეობას (ჯგუფი „გ“) პურის წიგნაკები არ მიეცემა.

არამშრომელი მოსახლეობისათვის პურის მისაწოდებლად გამოიყოფა ცალკე პურის დუქნები, სადაც პური მიეყიდება ყველას უწიგნაკოდ.

7. ყველა სამკურნალო დაწესებულება, ბავშვთა სახლი, ინტერნატი, სასადილო და სხვ. განსაკუთრებულ აღნუსხვაზე იმყოფება და პურის მტკიცე გეგმით მიწოდებისათვის მიეწერება განსაზღვრულ პურის დუქანს.

8. დაწესებულ იქნეს გადიდებული ფასი იმ პურზე, რაც გაიცემა მე-6 მუხლში აღნიშნული სპეციალური დუქნებიდან (უწიგნაკოდ) და აგრეთვე იმ პურზე, რაც მიეცემა კერძო სასადილოს, რესტორანს და სხვ..

9. გადიდებული ფასების შემოღების გამო (მუხ. 8) არამშრომელი მოსახლეობისათვის პურის მიყიდვით მიღებული მოგება ცალკე უნდა იქნეს აღნუსხული. აღნიშნული მოგება ჩაირიცხება პურის ცხობისა და პურის მიწოდების საქმის მექანიზაციისა და გაუმჯობესების ფონდში.

10. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები მოაწყობენ ცალკე კომისიებს.

11. იმ მშრომელთა აღნუსხვა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ პურის წიგნაკები, და აგრეთვე მათთვის აღნიშნული წიგნაკების მიწოდება სწარმოებს საწარმოთა, დაწესებულებათა და მათ თანაბარ სხვა ორგანოთა (შრომის ბირჟა უმუშევართათვის, დამზღვევი სალარო—ინვალიდთათვის და სხვ.) ადმინისტრაციის მეშვეობით. ეს ორგანოები პასუხისმგებელი არიან სიების შედგენისა და წიგნაკების განაწილების სისწორისათვის.

12. უკეთუ იმ პირთა ოჯახურ მდგომარეობაში, რომელნიც პურს წიგნაკებით იღებენ, რაიმე ცვლილება მოხდება ან უკეთუ ამ პირთა მდგომარეობა შეიცვალა მათი მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფისათვის მიკუთვნების მხრით, პურის წიგნაკები გამოცვლილ უნდა იქნეს სათანადო ცნობების წარდგენისას.

13. პურის წიგნაკებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს სასყიდელი მათი თვითღირებულების მიხედვით.

14. მოსახლეობის ცალკე კატეგორიების პურის მოხმარების ნორმას და აგრეთვე გასაყიდ ფასებს და გამომცხვარი პურის საერთო რაოდენობას არამშრომელი მოსახლეობისათვის დააწესებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.

15. დამნაშავე, რომელიც ცრუ ან არასწორ ცნობებს მისცემს პურის წიგნაკების მიმღებ პირთა სამსახურებრივი, ოჯახური და სოციალური მდგომარეობის შესახებ, ან დაუთმობს სხვა პირს წიგნაკით პურის მიღების უფლებას, ან და ჩაიდენს სხვა ბოროტმოქმედებას, რაც შეიძლება ამა დადგენილებაში გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებიდან გამომდინარეობდეს—მიიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს (საქართველოს სს რესპუბლიკაში) დაევალება გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 21.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1072. დაიბეჭდა 1.250.